

ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრული საკონკურსო პირობები

„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის 15² და 15³ მუხლებისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 206-ე მუხლის შესაბამისად ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის (შემდგომ – საზოგადოებრივი დამცველი) თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

საზოგადოებრივი დამცველის ფუნქციები:

- მომხმარებელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, მათზე რეაგირების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება;
- მომხმარებლებზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სატარიფო და სხვა მარეგულირებელი ცვლილებების გავლენის შედეგების შეფასება, ანალიზი, პროგნოზირება;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მომხმარებელთა სახელით მხარედ გამოსვლა;
- მომსახურების მიმწოდებელ ავტორიზებულ ან/და ლიცენზიის მფლობელ კომპანიასთან დავაში ინდივიდუალური მომხმარებლის წარმოდგენა;
- საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების მიერ იმ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ინტერესებზე.

საზოგადოებრივი დამცველის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- კომუნიკაციების სფეროსა და მომხმარებელთა უფლებების კვალიფიციური ცოდნა;
- საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.

საზოგადოებრივი დამცველის სასურველი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- სამართლის მაგისტრის ხარისხი;
- ინგლისური ენის (C1 დონის) ცოდნა;
- ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

საკონკურსო თემატიკა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

- „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესები;
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტი;
- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ გამომდინარე შესაბამისი ევროდირექტივები/ევრორეგულაციები კომუნიკაციების სფეროში.

საზოგადოებრივი დამცველის პიროვნული თვისებები:

- ეფექტიანი კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი;
- სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;
- სტრუქტურული ერთეულისა და ინდივიდუალური ამოცანების დასახვის უნარი;
- ცვლილებების/სიახლეების ინიცირებისა და მართვის უნარი;
- პროექტების მართვის უნარი;
- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების, შეფასებისა და მოტივირების უნარი;
- გუნდის განვითარების უნარი;
- პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი;
- დროის ეფექტიანი მართვის უნარი;
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურებრივი შეუთავსებლობა:

- საზოგადოებრივი დამცველი არ შეიძლება იყოს რომელიმე პარტიის წევრი.
- საზოგადოებრივ დამცველზე ვრცელდება ყველა მოთხოვნა, რომლებიც ვრცელდება თანამდებობის პირზე „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საზოგადოებრივი დამცველის უფლებამოსილების ვადა:

- საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობაზე პირი აირჩევა 5 წლის ვადით.

საზოგადოებრივი დამცველის ხელფასი

▪ საზოგადოებრივი დამცველის ხელფასი შეადგენს არანაკლებ 5 000 ლარს, რომელიც ფინანსდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გადახდილი რეგულირების საფასურიდან.

კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

- განცხადება საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
- Curriculum Vitae (CV);
- სამოტივაციო წერილი, რომელშიც მითითებულია კომუნიკაციების სფეროსა და მომხმარებელთა უფლებების კვალიფიციური ცოდნა
- უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- შესაბამისი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 2 ფოტოსურათი (3×4).

სასურველია, კონკურსანტმა არსებობის შემთხვევაში დამატებით წარადგინოს:

- ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა/სერტიფიკატი;
- სერტიფიკატი, რომლებიც მას შესაბამისი თანამდებობისათვის მნიშვნელოვნად მიაჩნია;
- კვლევა შესაბამის სფეროში;
- 2 რეკომენდაცია.

კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 2019 წლის 24 თებერვალი.

კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 0322281668/0322281689; 555333982/599140484.